 შემოსავლების
სამსახური

საბაჟო დეპარტამენტი

ბრძანება N 12685

20/05/2022

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის - სასაქონლო ნიშნის "დუტაპროსი Dutapros Дутапрос" (რეგ. 23034)
სსიპ - შემოსავლების სამსახურის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ

„ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის, შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ" ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტისა და შპს „ფარმაცევტული სახლი +"-ის №74599/21-11 (29.04.2022) განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შემოსავლების სამსახურის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრში დარეგისტრირდეს შპს „ფარმაცევტული სახლი +"-ის (მის.: ლვოვის ქ. 92, თბილისი) კუთვნილი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი - სასაქონლო ნიშანი "დუტაპროსი Dutapros Дутапрос" (რეგ. 23034).
2. სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს ამ ბრძანების ძალაში შესვლის თარიღიდან 2022 წლის 2 ნოემბრამდე.
3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს შემოსავლების სამსახურში (მის.: ქ. თბილისი, ვ.გორგასლის ქ. №16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ზურაბი სიჭინავა

საბაჟო დეპარტამენტის უფროსი

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი